ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3654958

ნომერი: AR1552829

თარიღი : 27.10.2017

გაცემის თარიღი : 02.11.2017

გაცნობის თარიღი : 02.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა შერმადინი , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ტვილდიანი პ/ნ 01009016511
- ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალი 22 კორ ბინა 37

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1011640
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.11.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 27 ოქტომბრის AR1552829 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილი მინდობილობით (26.06.2017 წლის) მინდობილ პირს არ აქვს სამსახურში წარმომადგენლობის უფლებამოსილება . წარმოდგენილ იქნეს მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან მერაბ ტალახაძე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
2. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ფართები გასხვისებულია განახლდეს ერთიანი მიწის ნაკვეთის ამონაწერი და იმ შემთხვევაში თუ განხორციელებული მშენებლობით შეიცვალა ინდ. საკუთრებაში, მოსარგებლის ან მომავალი მესაკუთრის ფართი საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მისი/მათი თანხმობა განხორციელებული სამუშაოების თაობაზე. თუ განხორციელებული მშენებლობით შეიცვლა იპოთეკით დატვირთული ფართი საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა განხორციელებული სამუშაოების თაობაზე. გაითვალისწინეთ, რომ თანხმობა გაცემული უნდა იყოს წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ.თუ არ ხდება ფართების ცვლილება განმარტეთ დეტალურად აღნიშნულის თაობაზე და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ გეგმები შესაბამისი მონიშვნებით და ექსპლიკაციით.
3. წარმოადგინეთ გარემოს კეთილმოწყობის და შენობის (გეგმები, ჭრილები, ფასადები) აზომვითი ნახაზები რომელიც დამოწმებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ. საჭიროა კეთილმოწყობის აზომვით ნახაზზე დატანილი იქნას კ3-ის კოეფიციენტის საანგარიშო ფართი და კოეფიციენტი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.